ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6258948

ნომერი: AR1940374

თარიღი : 19.12.2022

გაცემის თარიღი : 21.12.2022

გაცნობის თარიღი : 21.12.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ცანავა პ/ნ 62001044864
- სოხუმი ა.ყაზბეგის ქ. N 21

ორგანიზაცია:
- შპს ცაბე გრუპი კოდი: 405550586

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაციადა გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთშემდეგი:

1. ორივე ფოტომო ნტაჟი აიტვირთოს"ფოტომონტაჟი"-ს ველში.
2. შეიცვალოს ვერტიკალურად მიმაგრებული აბრის განთავსების ადგილი და გაითვალისწინეთ, რომ შენობაზე მიმაგრებული ნიშნები და აბრები შესაძლებელია იყოს შეჭრილი საზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-ზე მაღლა სიმაღლეზე, მაგრამ ტროტუარის კიდის
ვერტიკალურ წარმოსახვითისიბრტყიდან პერპენდიკულარული მანძილი ამ ნიშნებამდე და აბრებამდე უნდა იყოს მინიმუმ 1,2 მ. ასევე შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან/და საზოგადოებრივი სივრცეში შეჭრა 0.3 მ-ზე მეტად, როდესაც ასეთი ქუჩა ან/ და საზოგადოებრივი სივრცე არის 3.0 მ ან ნაკლები;
3. საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ ზუსტი საპროექტო ადგილი.
4. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს ცაბე გრუპის მეორე დირექტორის გიორგი ბეგაშვილის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. საჭიროა საიჯარო ხელშეკრულებახელმოწერილ იქნეს ორივე დირექტორის მიერ, ვინაიდან ისინი საზოგადოებისხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებენ ერთობლივად. წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარეს წარმოადგენს ლევან გურული, რომლის საკუთრებაშია 39.05 კვ.მ საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად. ხოლო იჯარის საგანია 50.2 კვ.მ. შესაბამისად, თუ სხვა მესაკუთრის ფართიც აქვს იჯარით გადაცემული, საჭიროა ხელშეკრულება აღნიშნულ სუბიექტთანაც იყოს დადებული. ან თუ მხოლოდ ლევან გურულის ფართია საიჯარო, ხელშეკრულებაში მითითებული იჯარის საგანი საჭიროა შესაბამისობაში იყოს საჯარო რეესტრის ამონაწერთან. საჭიროა ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა დამოწმდეს სათანადო წესით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაშიმითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.